№ 841 კვირა, 13 ივნისი. 1896–1899 კვირა, 13 ივნისი № 841

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

ხელის-მომწერნი გაზეთის დახაკვეს თად მიმართავენ რედაქციის დილი-10-3 საათამდე და საღამოს 6–7 ვან „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიაშ.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი


წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

## ქართული წარმოდგენა

კვირას 13 ივნისს 1899 წელს ნიკიტინის ცირკის შენობაში ქართ. თეატ. რეჟ. თან. ალ. ბაქრაძე გამართავს წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქნება

## ქოროღლი

ტრაგედია 4. მოქმედებად ანტონოვისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ქ [illegible], [illegible], [illegible] და სხვ. ბ.ბ. [illegible], [illegible], [illegible], [illegible], ბაქრაძე კანდელაკი, კავთელი, ურუშაძე, კაჩაური და სხვ.

დასასრულ ლეკური

ითამაშ. ქ. რჩეულოვი. ბბ. ლექსო, ლიასამიძე და სხვ.
დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.
გამგე ა. ბაქრაძე.

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ახლად გაღებული ქართველ მგზავრთათვის

## მორთული ოთახები „აგაშა“

ტფილისში მეორე მოლაკნის ქუჩაზე, მჭედლიძის სახლებში

ეს მორთული ოთახები მართლაც და მომარჯვებულსა და მოხერხებულს ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოგზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უვლის ავჭალის კონკა.

ოთახები საგანგებოდ და საუცხოვოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და მარდი.

ფასი სამაგალითოდ იაფია

50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.

დავშთები მარად პატივცემული ნიკო თოფურია. (10–4)


!!მგზავრთა საყურადღებოდ!!


## ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

თხზულებანი

## ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით
ფასი 50 კაპ.

კვირას, 13 ივნისს, დილის 11 საათზე გაიხსნება ქართული დრამატიული საზოგადოების

## კანტორა

(კანცელარია და ბიბლიოთეკა), სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზე № 122. მსურველთ შეუძლიათ დაესწრონ ხსენებულ სადგომის გახსნას. (2–2)

კვირას, 13 ივნისს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა სააღებ მიმცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად აღნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

## საჭიროა სახლი

ოც ოთახიანი
პირობების შესახებ უნდა ეკითხოს სასულიერო სემინარიის იკონომს. (3–2)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ზ. ქ. გერაძე.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ


## ახალი ამბავი

*** ქართული დრამატიული საზოგადოების კანტორას კურთხევადღეს, დილის 11 საათზე აკურთხებენ, და გახსნიან ქართული დრამატიული საზოგადოების კანტორას, რომელშიაც მოთავსებულია საზოგადოების კანცელარია და ბიბლიოთეკა. კანტორის კურთხევას, როგორც განცხადებიდანა სჩანს შეუძლიათ ყველანი დაესწრონ.

*** სასწავლებელთა საგარაკოდ გასვლა. ტფილისის სასწავლებელნი უკვე გადიან საზაფხულოდ აგარაკებში: უკვე წასულან საგარაკოდ წმ. ნინოს სასწავლებლის პანსიონი, პირველი გიმნაზიის პანსიონი, საიუნკრო სასწავლებელი, კადეტთა კორპუსი და სხვ.

*** სწავლა-დამთავრებულები საქალებო გიმნაზიაში. წელს პირველ საქალებო გიმნაზიაში სწავლა-დაუმთავრებიათ სხვათა შორის ქართველ ქალებსა: ნინა მესხი, ნინა გონიევი, ნატალია დავრიშევისა, თამარ ჯამბაკურ-ორბელიანი, მარია მოძღვაროვი, სოფიო სულიევი, ოლგა ბაზიაროვი, სოფიო ხელაძე. მერვე კლასი გაუთავებიათ: თამარა სულხანოვი, ნადეჟდა გძელიშვილი, თამარა მოძღვაროვი, მაჩაბელი ელენე, მარია მელიქიშვილი, დარია ისარლოვი და ოლგა კორინთელი.

*** წარმოდგენა მაჩხაანში. ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქვემო მაჩხაანში გამართული იქნება ამ თვის ოცში ქართული წარმოდგენა საქველ-მოქმედო მიზნით. წარმოდგენაში თურმე მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვასილ აბაშიძე.

*** სემინარიელების შესახებ. როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან პირველ ხარისხით კურს და-

მთავრებულ სემინარიელებს მიიღებენ პეტერბურღის უნივერსიტეტში ეგრედ წოდებულ აღმოსავლეთის განყოფილებაზე („ვოსტოჩნი ფაკულტეტი“).

*** **დასამარხი კასსა.** ტფილისში არსდება სამარხი კასსა, რომლის წევრებად მიიღებიან ორთავე სქესის პირები 21 წლიდან 55 წლამდე. კასსა გასცემს ხოლმე თავის წევრებს დასამარხ ფულს.

*** **საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში.** უწმ. სინოდის განკარგულებით ეს მესამედ გაიმართა კავკასიაში საზაფხულო პედაგოგიური კურსები. პირველს ორს ზაფხულს იქმნა ორს ადგილს გამართული, ტფილისში და ქუთაისში ერთად მასწავლებელ ქალთა და ვაჟთათვის; ხოლო წელს გაიმართა მხოლოდ ტფილისში განსაკუთრებით მასწავლებელ ვაჟთათვის. მოწვეულ იქმნა და კიდეც ესწრებიან კურსებზედ 54 კაცი. ამათგან 21 კაცი ქართლ-კახეთიდგან, 12—იმერეთის ეპარქიიდგან, 15—გურია-სამეგრელოდგან და 6—სოხუმის ეპარქიიდგან. ჩვეულებრივ კურსები სასულიერო სემინარიის შენობაშია, ბინა და ხარჯიც აქვეა მოწვეულთათვის. კურსების ინსპეკტორად დანიშნულია ქართლ-კახეთის ეპარქიალური ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა ნიკოლოზ გაბრიელის ძე ბ-ნი ტატიევი, ხოლო მის თანაშემწედ—სას. სემინ. მასწავლებელი სტ. ანდრ. ბ-ნი მურახოვსკი. საგნები: რუსულ-ქართულ და ანგარიშის ხელმძღვნელად დანიშნულია სს. სემინ. მასწ. ილია ივანესძე ბ-ნი ფერაძე, საღმრთო-წერილში კი—ხელმძღვნელად თითონ კურსების ინსპეკტორი ბ-წინ. გ. ტატიევი. ყოველს კურსებზედ დამსწრე მასწავლებელს დანიშნული აქვს სანიმუშო გაკვეთილი რომელსამე საგანში ზემოდ ხსენებულ ხელმძღვანელთა დახმარებით მისაცემად. ამთვის 14 დღიან დაიწყობა სანიმუშო გაკვეთილები დღეში სამ-ოთხ საგანში, ხოლო გალობის გაკვეთილები დღეში ორი-სამია დანიშნული, რუსულ-ქართულ იმერულ კილოებისა. მასწავლებლებად გალობისა დანიშნილები არიან: რუსულისა-მღვდელი ივ. მიხეილოვსკი, ქართულისა—ბ. სერგო წერეთელი და იმერულისა ბ. შარაძე. კურსები დაიწყო 8 ივნისს. ამ დღეს წირვის შემდეგ სემენარიის რექტორმა არქიმანდრიტმა მ. გერმოგენმა მიჰმართა ახლად შეკრებილს (კურსებზე) მასწავლაბელთ სიტყვით და განუმარტათ მნიშვნელობა კურსების. შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ გალობის გაკვეთილები დაიწყო, ორი გაკვეთილი რუსულისა და ქართულ იმერულ კურსები ამავე დღეს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოს ფლაბიანესაგან აიღეს ლოცვა-კურთხევა. ცხრაში ორი გაკვეთილი რუსულ სლავიანური და ორი -იმერულ ქართული. 10-შიაც განმეორდა ეს გაკვეთილები, ხოლო 11-ს ამ თვეს პირველ სამაგალითო გაკვეთილი საღმრთო წერილში მისცა მღვდელმა მ. ნესტორ მაჭარაშვილმა. მეორე გაკვეთილი რუსულში მისცა სამაგალითო სკოლის მასწ. მღვდელმა მ. გიორგაძემ, მანვე მისცა მესამე გაკვეთილი ქართულ ენაში, რომელმაც შეიძლება ვსთქვათ, რომ მიახწია დანიშნულ მიზანს. მეოთხე და მეექვსე გაკვეთილები მოჰხმარდა გალობას, რომელსაც თვით მოწვეულნი მასწავლებელნი სწავლობენ.

გუშინ, 12 ივნისს პირველი გაკვეთილი რუსულს ენაში მისცა ბ. ლაშხაურმა, რომელიც სწორედ სამაგალითოდ ჩაითვლება. ბ. ლაშხაური უფროსი მასწავლებელია ტირძნისის ორ კლასიან სასწავლებლისა.

აგრეთვე სამაგალითოდ მისცეს გაკვეთილები: მეორე-ქართულში ბ-მა გორდელაძემ და მესამე ანგარიშში მღ. მ. გორგაძემ.

ონისიმე

*** **ახალციხე.** ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის ცნობები. ძრიელ ბევრი მასალები აღმოჩენილა ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ. ცნობა გამოჩნდა, რომ კათოლიკეთა ეპისკოპოზნი საქართველოში XVIII საუკ. ყოფილან.

ამაებს გარდა დაბადების დამონათვლის წერილები და საფლავების ცნობები ცხადათ მოწმობენ ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობის ვითარებას. ყველა ეს მასალები მოუკრებია ბ. ზ. ჭიჭინაძეს და ჩამოუტანია ტფილისში. ცხადი საქმეა, რომ ყველა ესენი დროებით დაისტამბებიან.

*** **ქ. გორი.** გზა გორსა და ცხინვალ შორის. ქ. გორიდგან რადგანაც რკინის გზა არ გასდევს დ. ცხინვალისაკენ, ამიტომ სხვა და სხვა ეტლები ბევრი დადიან, განსაკუთრებით დილიჟნები. უნდა ვსთქვათ, რომ აქეთ მხარეს მოგზაურობა, ძალიან ძნელია: ასე რომ თუ ცალკე ეტლით ინებებთ მოგზაურობას უნდა ოთხი ხუთი მანათი მეეტლეს ჩაუთვალო; თუ არა და უნდა დილიჟანში ჩაჯდე, რომელშიც გამოივლით ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წვალებას. დილიჟანში, რომელშიც უნდა მოთავსდეს რვა თუ ცხრა კაცი, ისინი თვრამეტს ათავსებენ, მოგზაურობის დროს სწორედ სასაცილო სანახავია დილიჟანი: ზოგი დილიჟნის თავზედ შეყუნტულა, ზოგი კიბეზედ შემჯდარა, ზოგი შიგ ერთმანეთის მუხლებზედ სხედან და სხვა...

საწყალს მეეტლეს თავის ალაგს აღარავინ ანებებს; მიიგდებენ ფეხებ წინ და მის ალაგას სამი კაცი ითავსება. საბრალო ცხენებს თუმცა დიდი საპალნე აწევთ თავზედ, მაგრამ რა ჰქნან ნათქვამია: „ძალა აღმართსა ხნავსო“. ხანდისხან გაჭირების დროს კამეჩები ხდებიან ღირსი დილიჟანში შებმისა. ამ უწესრიგობის გამო ბევრი აყალმაყალი ხდება და შიგ მჯდომნი ერთმანეთს სძულდებიან.

სულ ეს ამბავი ფულის სიხარბით მოსდის, და ამიტომ ვთხოვ დილიჟნის პატრონებს, რომ ყურადღება მიაქციონ ამისთანა უწესრიგობას...

ს. ბასიშვილი

*** **ს. ლვედი** (სამეგრელო). ჩვენი გადმოცემა ამ სოფელზე. მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირას აქვს ვიწრო მდებარეობა: მას უჭირავს მომეტებულად მთაგორიანი ადგილი და თითქმის ყოველი მხრიდან შემოზღუდულია მაღალი კლდოვანი გორეებით. ნიადაგი შავი აქვს და ქვიანი, მაგრამ მოსავალი ძალიან კარგი მოდის, თუმცა აუარებელი შრომა უნდა აიტანოს აქარუმა გლეხმა მის მოხვნა მოყვანაში. ამ სოფელზე არის ერთი ძველებური თქმულება დარჩენილი: თურმე, ერთხელ ლ. დადიანი მიდიოდა ს. გორდიდან ლეჩხუმს და გაიარა ამ სოფელში; (ს ლვედი ს. გორდზე 6 ვერსზეა მოშორებული) გზაზე დაუძახა თვისს მხლებელ ლვედის მოურავს და უთხრა, აქაურებს სულ ცოტა გადასახადი უნდა გადახდესო, თორემ ეს რას გავს, რამდენი ქვები ყოფილაო...

ამ დროს იქვე ახლო დაინახეს ერთი გლეხი, რომელსაც მოსავლის ამბავი ჰკითხეს. მან მიუგო, „ჰო ბატონო! ლვედი ლვედია, მაგრამ ზეთი მოწიწკინობს“!—მაშ, ასე თუა კიდევ მიუმატეთ გადასახადი აქაურებსო, უბრძანა დადიანმა მოურავს და გაუდგა გზას.

— **ჩვენი გზის ამბავი.** რადგან გზა მომაგონდა, მის ავ-კარგიანობაზეც მოგახსენებთ: ამ სოფელზე გაივლის ერთი უსაჭიროესი გზა, რომელსაც „ლეჩხუმის“ გზას ეძახიან. ამ გზით დადიან მთელი ქვემო სვანეთის, ნახევარზე მეტი ლეჩხუმის მაზრის და ერთი საზოგადოება სენაკის მაზრის მცხოვრებნი დ. ხონს და სხვა ქუთაისის გუბ. დაბა ქალაქებში. ეს გზა რამდენიც დრო გადის, იმდენათ უფრო და უფრო საჭირო და სასარგებლო ხდება, ამ გზით გამოდის და რიგდება სხვა და სხვა დაბა ქალაქებში ლეჩხუმის მაზრის სიმდიდრე, იქაური კარგი ღვინო და ვაშლი ნახევარ მილიონ ფუთამდე.

გზა მისდევს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს: მოგზაურობა შეიძლება მხოლოდ ცხენით, მაგრამ უვარგისობის გამო ამ გზას არა ერთხელ მიუბარებია რომელიმე ღრანტესთვის თავ-მომწონე მხედარი თავის ცხენიანად და უფრო ხშირად დასაპალნებული ღვინით ცხენი, თავის ღვინიან ტიკებიანათ. ურმის გასავლელი გზა არ არის და გზის უვარგისობა ძალიან აფერხებს მიმოსვლას და საქონლის გადატან-გადმოტანას, ლეჩხუმ შუა და სხვა უფრო დაწინაურებულ მაზრებს შორის, რის გამოც ლეჩხუმის მაზრა (მომეტებულად ცხენისწყლის ხეობაში მდებარე) ძალიან დაქვეითებული და ჩამორჩენილია სხვა მაზრებთან შედარებით, როგორც სწავლა-განათლებით, აგრეთვე ეკონომიურადაც. გზა ყოვლად უვარგისია, უფრო ლეჩხუმის საზღვრიდამ (ოცდა-ორი ვერ.) ეგრედ წოდებულ „ბუმბუას“ ხიდამდის, რომელიც მოშორებული დ. ხონზე 12 ვერ არავინ ყურადღებას არ აქცევს იმისთანა ხალხის დამაბრკოლებელ უგზო-უკლოობას, ძალიან კარგი იზამდა ბ. სენაკის მაზრის უფროსი, რომ ამ გზას „ბუმბუას“ ხიდიდამ ს. ლვედამდე მაინც შეაკეთებდეს და ლვედის აქეთ ლეჩხუმის საზღვრამდე თვით ლეჩხუმელები შეაკეთებენ, მით უმეტეს, რომ ისინი უფრო საჭიროებენ ამ გზას და არა ერთხელაც განუცხადებიათ გზის შეკეთების სურვილი. გზის გაკეთებით, ვინ იცის რამდენად უფრო დაწინაურდება ყოველის მხრით, ზემოდ ხსენებულნი მკვიდრნი! ს. ლვედი სწავლა-განათლებით ძალიან ჩამორჩენილია. აქაურნი მკვიდრნი მეტისმეტად საჭიროებენ მასში. მცხოვრებნი სულ გლეხებია და 60 კომლამდე იქნება მეტი არა.

— **სამრევლო სკოლა.** ს. ლვედი შეადგენს ერთ-ერთ ნაწილს კინჩხის (გორდის) საზოგადოებისას, სადაც არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელიც, როგორც ვსწერდით, არ აკმაყოფილებს გორდის საზოგადოებას (200 კომლამდეა). ს. ლვედში გაიხსნა შარშან ენკენისთვის დამლევს სამრევლო სკოლა, მაგრამ იქ „უჩენიკის“ მაგივრად „მუჩენიკ“ გამოდის... არა უშავს! არაობას კარაობა სჯობიანო ნათქვამია და ჩვენი სამრევლო სკოლაც შემდეგში გამოკეთდება, ჯერ ხომ საძირკველ ჩაუყრელია!

— **წყალში დამხრჩვალი.** სხვათა შორის ს. ღვედში ერთი საზარელი ამბავი მოხდა: 27 მაისს, ამაღლებას, ნაშუადღევის პირველი საათიდან უეცრად გადაიკარგა სახლიდან გლეხის მიხეილ სულაბერიძის ცოლი, რომელიც ბევრი ძებნის შემდეგ, 1 ივნისს იპოვნეს ს. ხუნწში (14 ვერსის სიშორეზეა ღვედიდან) მდ. ცხენისწყალში დამხრჩვალი. ერიად საინტერესოა ამ ადამიანის გარემოება: ოთხი წლის წინეთ იგი შეირთო ხსენებულმა მ. სულაბერიძემ და არ გასულა ერთი წელიწადი, რაც ის ქალი ჭკუიდან შეიშალა და მთელი ერთი წელიწადი გავარდნილი იყო სოფელ მინდვრად ღვთის სამარად; დიდი თოვლიანი ზამთარი საბრალომ ფეხშიშველა გაატარა და ლანძღვა გინების მეტს არაფერს აკეთებდა. შემდეგ მოვიდა გონს და დაწყნარებულ-დამშვიდებული მივიდა თავის ქმართან და იწყო მასთან ჩვეულებრივად მშვიდი ცხოვრება. მაგრამ უბედურს არ უცხოვრია ასე კარგად არც ერთი თვე, რაც ის ჩავარდა ლოგინად და აქნობამდე, ე. ი. ვიდრე თავის დახრჩობამდე გაცოდვილებულად გაატარა თავის სიცოცხლე

მგონი არ იქნებოდა ურიგო, რომ ამისთანა გარემოებისათვის მიექციათ ჯეროვანი ყურადღება ადგილობრივ პოლიციას და მ. მღვდელსაც, რათა მათ ეშუამდგომლათ სადაც ჯერ იყო, ჭკუიდან შეშლილის საგიჟეთა შესაფარში მიღებისათვის, რის გამოთაც ბედკრული ადამიანი, ვინ იცის, იქნება ეხლაც ცოცხალი ყოფილიყო.

მოსავალი აქ ჯერჯერობით კარგია. ვენახს კარგად ასხია და ექიმობაც მისი უკვე დაამთავრეს.

გუ-გუ.

## ორიოდე სიტყვა ქალის გამზითვების (გათხოვების) შესახებ*).

მაგრამ იქ სამაგიეროდ ყოველივე ღონეს ღონობენ, რომ ქალები სწავლა-განათლებით წინ წასწიონ. აგრეთვე ათას-გვარ სამუშავოს უჩენენ მათ, რის გამო გასათხოვარ ქალს თამამად შეუძლიან თავი ირჩინოს სხვის დაუხმარებლად. მაგრამ ჩვენ ხომ ასე არ ვიქცევით?! ჩვენ არამც თუ საქმეზე წავაქეზოთ და სამუშავო რამე თავის სარჩენი აუჩინოთ, არამედ თუ გასათხოვარი ქალი თავისი შრომით თავს ირჩენს, მაგ.: ან ქრა-კერვით, ან სხვა რამე მოხელეობით, მაშინ ვიტყვით, რომ ის შვეიკა არის ან-და, კიდევ უკეთესი, პრაჩკა არისო და აბა რა ხელთ-საყარია ჩვენთვის (უცოლოებისთვის) კარგი გამრჯე-მომქმედი ქალი! ზემოთ ჩვენ მოკლეთ მოვაგონეთ მკითხველთ თუ რამდენი უბედურება ხდება ქვეყანაზე ზემოხსენებული ბრმა ჩვეულებისაგან. ეს ჩვეულება, როგორც ზევით ვსთქვით, შეუმჩნევლათ შეჰპარვია სწავლა-განათლებას ოჯახში და თვითეულს ოჯახის წევრს ისე ოსტატურად შეზრდია, რომ დღეს ის თუმცა-ღა ქვეყანას აწიოკებს, მის წინმსვლელობას აფერხებს, მაგრამ, ხსენებული ჩვეულების ხათრისთვის, სწავლა-განათლებას ეს არაფრად მიუჩნევია, არაფრად გაჰკვირვებია! მაშ დრო არის შეიგნოს სწავლა-განათლებამ ზემოხსენებული ჩვეულების საზიზღარი თვისებანი, მისი არა სასურველი გავლენა ქვეყანაზე და ეხლა მაინც უკუ აგდოს ის! დიახ, დრო არის, მაგრამ რა იარაღს, რა ხერხს უნდა მიჰმართოს იმან ხსენებული ჩვეულების შესამუსრავათ, მოსასპობლად? ჩვენი აზრით, ერთად-ერთი იარაღი, რომელსაც ყველაფერი ემორჩილება, არის საერთო სურვილი, საერთო ნდომა, ე. ი. შეერთებული ძალით ბრძოლა. ამასთანავე ეს ყველასთვინ ცხადია, რომ ყოველივე ძველ ჩვეულებას და წესწყობილებას ახალი შეხედულობა, ახალი წესწყობილება დაძალა არღვევს, ათახსირებს. და აი, ზემოხსენებულ იარაღს, ქვეყნისთვის დღეს, ყველა ეხლანდელი შეგნებული და განსწავლილ-განათლებულნი ახალგაზდობა (უცოლოები) შეადგენს. და რადგანაც ახალი წესყობილება, ახალი შეხედულება-მიმართულება და აგრეთვე ცოცხალი და დაუღალავი ძალაც, ჩვეულებრივ, იმათ ხელშია, ამისთვინ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ისინი, თუმც ამას მოისურვებენ, ზემოხსენებულ ჩვეულებასაც მოიგლეჯენ თავიდან და უკუ აგდებენ მას და მით ერთ უმთავრეს ძარღვს შეაწყვეტენ კაცთა-უმეცრებას. აქ რომ შეუძლებელი და აუსრულებელი არაფერია, ამას გვიმტკიცებენ ამერიკელები: ამერიკაში გასათხოვარ ქალისთვის არ არის საჭირო სათავი ე. ი. მზითევი და ფულები. ამ უკანასკნელის ადგილი იქ ქალის გამარჯვებას და სხვა ძვირფას ზნე-ხასიათს უჭირავს. მაგალითად, თუმცა გასათხოვარი ქალი კარგი გაგებული და ერთგული გამრჯე-მომქმედია, მაშინ ის თითონვე ირჩევს საუკეთესო ქმარს და ამასთანავე ყველა საცოლოც სიხარულით ეთანხმება და ეგებება ამისთანა ქალთან შეერთებას, რადგანაც თითოეულმა მათგანმა იცის, რომ ყოველივე გასაჭირ-დასალხინში ნამდვილი უტყუარი ამხანაგი ეყოლება მას. აი, სწორეთ ამ გონიერი შეხედულობის გამო სამუშაოთ ეშურება ამერიკაში, თითქმის ყველა გასათხოვარი ქალი. ის მანამდის მუშაობს, სანამდის ქმარს არ გაჰყვება და რაკი ის ამ უკანასკნელს (ქმარს) შეუერთდება, მაშინვე გარეთ მუშაობას თავს ანებებს და ხდება ოჯახის თავი. ამ ნაირათ, ამერიკაში ქალის მითხოვება სახელოვან კაცზე დამოკიდებულია თვითონ გასათხოვარ ქალზე: თუმცა ის კარგი ერთგული მშრომელი და გამრჯე-მომქმედია, რასაკვირველია, კარგ ქმარს მიჰყვება (ირთავს) და თუმცა მდარე მოქმედია და სუსტი მიმართულების, რა თქმა უნდა, მდარეს. ის შემთხვევა, რომ ამერიკაში ქალები ქმრებს მიჰყვებიან, არა ბევრი ფულების (მზითების) იმედით, არამედ თავიანთი ღირსების იმედით და თავისი თავისუფალი სურვილით, დიდად მოქმედობს, როგორც საზოგადოდ ქალების მაღალ ღირსებაზე, ისე იმათ ოჯახობითი ერთმანეთ შორის შეერთებაზე.

როგორც ჩვენში, ისე ევროპაში, სადაც ქალისა და კაცის ცოლ-ქმრობა დამოკიდებულია მზითვიდან, ფულებისაგან, ასეთი შეერთება იშვიათად შეიძლება დარჩეს ბედნიერი და საფუძვლიანი, რადგანაც იმათ შეერთებას აკლია რაღაც უმთავრესი პირობა, რომელიც, აუცილებელი საჭიროა ცოლ-ქმრობისათვის. როცა ქალის და კაცის შეერთება გამოწვეულია სიყვარულისაგან, ზოგჯერ ისიც ვერ ამტკიცებს ნამდვილ ცოლქმრობის სურვილს, რადგანაც ეს უკანასკნელი დამოკიდებულია უფრო ერთმანეთ შორის ზნე-ხასიათის შესწავლის და აზრ-მიმართულების სიახლოვეზედ. ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რამდენი უბედურება ხდება ქვეყანაზედ ქალების გაუთხოვლობის გამო. ამ უბედურების გავრცელებას ხელს უწყობს, ევროპაში, სხვათაშორის ის, რომ იქ შეცდომილების მსხვერპლად მარად ქალი რჩება: მთელი სიმძიმე მატყუარა ფეხის ნაბიჯისა ქალს ენგრევა თავზედ და ამასთან საზოგადო აზრი და შეხედულებაც მისი წინააღმდეგია თურმე. ამერიკაში კი ასე არ ყოფილა: იქ მთელი სიმძიმე ქალის შეცდომილებისა შემაცდუნებელს ენგრევა თავზედ; საზოგადო აზრიც იმისი წინააღმდეგი ყოფილა და არის და ამსთან კანონიც მკაცრად და მრისხანედ ეგებება მას (კაცს). ყველა ზემოხსენებული შეხედულობის და მიმართულების გამო არის, რომ ამერიკელი ქალები ყველა სხვა ქვეყნების ქალებზედ მაღლა სდგანან. ეს ყველასთვის ცხადია, რომ ქალები, საზოგადოთ, თავ-მოყვარენი არიან; მაგრამ, საუბედუროდ, თავ-მოყვარეობა თითოეულ მათგანს თავისებურათ ესმის, თავისებურად გაეგება. მაგალითად: ჩვენი ქალების (უმეტესი ნაწილის) თავ-მოყვარეობა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი თაყვანის მცემელი, ბევრი მოტრფიალე და ბევრი მქებელ-მადიდებელი ჰყავდეს. ეს მქებელ მადიდებელნი მარტო პრანჭვა-გრეხით და ფერ-უმარილის ხმარების შემწეობის გამო ეყოლება. თუ სხვა რაიმე საქებური ღირსების გამო, ეს სულ ერთია მათთვინ! ვიმეორებ, იმათ უნდათ (საჭიროათ) თაყვანის მცემელნი და, რადგანაც დღეს ჩვენ, კაცები, (უმეტესი ნაწილი) ქალებში სილამაზეს და სიმდიდრეს (მზითევს, ფულებს) ვსცემთ თაყვანს, ამიტომაც არის, რომ ისინი მარტო თავის სილამაზეს და მზითევის მომზადებას შესცქერიან და მთელ თავის ღონეს, მოსაზრებას და მზრუნველობას ამ ორი საგნის მოპოვებას ალევენ თავზედ!... აბა დავაფასოთ ჩვენ (კაცებმა) ქალებში კარგი ჭკუა, დარბაისლობა, განვითარება, გამრჯელობა, კარგი დიასახლისობა და მაშინვე დავინახავთ, რომ ისინიც ყოველივე ღონეს იღონებენ ზემოხსენებული თვისების შესაძენათ. მაშასადამე მზითვის (სათავით ქალის გათხოვის) მოსპობა და კაცებიდგან ქალებში ნამდვილი უტყუარი ღირსების დაფასება უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი სახსარი, ერთად-ერთი საშუალება, რომლის შემწეობით შეიძლება უარ ჰყოს ჩვენმა ქალებმა ეხლანდელ მატყუარა და მავნე შეხედულებას და და შეითვისოს ისეთი საქებური და სასარგებლო შეხედულება, მიმართულება, რომელსაც ასე მაღლა დაუყენებია (სხვა ქალებთან შედარებით) ამერიკელი ქალები.

ტ. ართმელაძე

*) იხ. «ცნობ. ფურც». № 840.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

10 ივნისი

**სტამბოლი.** რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა, ინახულა რა გარეშე საქმეთა მინისტრი თევთიკ ფაშა, ხელ-ახლა აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გადახვეწილი სომხები სამშობლოშივე იქმნენ დაბრუნებული. რუსეთის მთავრობას უწინდელებრ მოლაპარაკება აქვს ამ დაბრუნების შესახებ და თხოულობს, რომ სომხებს ჩაჰბარდეთ ის უძრავი ქონებანი, რომელიც უმეტესად ქურთებმა ჩაიგდეს ხელთ.

**პარიზი.** ოფიც. ჟურნ-ში გამოქვეყნებულია ბრძანება იმის შესახებ, რომ საზღვაო არტილერიის გენერალი დელაროკე ახალ განკარგულებამდე პატიმრობისაგან განთავისუფლებული არ იქმნეს, დისციპლინის დარღვევის გამო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ აპიიდგან ატყობინებენ, რომ კომისიამ მელიეტაო-ტანუ მეფედ აღიარა, ეს უკანასკნელი გადადგა მეფობიდგან კომისიის სასარგებლოდ, რომელმაც დროებით მთავრობა დანიშნა. კომისიის მოხსენებაში შემდეგია სასურველად ცნობილი: გაუქმებულ იქმნას მეფობა და პრეზიდენტის თანამდებობა; დანიშნულ იქმნას გუბერნატორი და საკანონმდებლო საბჭო სამის წევრისაგან, რომელთაც სახელმწიფონი დანიშნავენ; დაწესებულ იქმნას წარმომადგენელთა პალატა. ხმა დადის, რომ ზოლფა იქმნება დანიშნული გუბერნატორადაო.

**სტამბოლი.** მცირე აზიის ვილაეტების სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთ ბრძანება მიიღეს იმის შესახებ, რომ ნება არ მისცენ სომხების წინააღმდეგ არეულობანი მოხდეს ხოლმე.

**პარიზი.** ვალდეკ-რუსსო დილით სასახლეში იქმნა მიწვეული. ლუბემ წინადადება მისცა კაბინეტი შეადგინეო.

**პარიზი.** ვალდეკს მოლაპარაკება აქვს კაბინეტის შესადგენად. დახმარებას დაჰპირდნენ მონისი, დელკასე, ლანნესანი, პიერ ბოდენი, ჟან დიუპუი, ლეიგა ჰფიქრობენ, რომ გალლიერი სამხედრო-მინისტრობას იკისრებსო.

**პეტერბურგი.** მ. ა. სოლსკის მეცადინეობით პეტერბურგში არსდება პირველი საავადმყოფო იმათთვის, ვინც კუჟთი არიან ავად. ხელმწიფე იმპერატორმა ამ საქმეს 20,000 მანეთი შესწირა, ხოლო დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა—სამი ათასი მანეთი. იმედი აქვთ, რომ სხვებისაგანაც მიიღებენ შემოწირულებას.


!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

**იმყოფება ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სათვალო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—37)


# განცხადებანი


# ვ. გუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია.



## подписная цѣна на газету

# „СВѢТЪ“

## СЪ „СПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

съ пересылкою и доставкою:

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . . .
« 1 іюля по 1 октября . . . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . . . . . 2 р.

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**



# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ—по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреса уплачивается 40 коп. Отдельные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп. позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни; редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

**завѣдуютъ отдѣлами:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Черный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Миллионеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ).

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. п.

(8—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. ბ[illegible]ისა), რედაქტორ-გამომცემელი გ. გუნ[illegible]